ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას
მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

ზემოაღნიშნული დადგენილების თანახმად ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შესახებ წინადადებას ამზადებს მუნიციპალიტეტის მერი, პროექტების ინიცირების მიზნით წინადადება განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი მერაბი ბერძენიშვილი.

მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე